

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 120
(05. 06. 2009 წ.)

სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის აკადემიური ხარისხის არმქონე პირების აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის აკადემიური ხარისხის არმქონე პირებისათვის, თანახმად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 29.05. 09წ. №114 დადგენილებისა, UNESCO-ს და არქიტექტურის საერთაშორისო კავშირის UIA-ს „არქიტექტურული განათლების ქარტიის“ II თავის მე-2 და მე-3 პარაგრაფებისა და საქართველოს განათლების სამინისტროს 2006 წლის 13 მარტის № 01-17-09-1/3252 წერილისა, აკადემიური პერსონალის შერჩევის დამატებითი (განსხვავებული) პირობები განისაზღვროს შემდეგნაირად:

მიეცეს უფლება აკადემიური ხარისხის არმქონე აღიარებულ სპეციალისტს, ინდივიდუალური განხილვის საფუძველზე, სრულ ან ნახევარ განაკვეთზე დაიკაონ მოწვეული პროფესორის თანამდებობა.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

პროფესორი

(ა. ფრანგიშვილი)

აკადემიური საბჭოს მდივანი,

პროფესორი

(გ. სალუქვაძე)